სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლაში, მე-4[2] კლასის მოსწავლეებისათვის ჩამოვაყალიბე ქართული ენისა და ლიტერატურის წრე თემით: „ჩვენი ენა ქართული.“ ესგ-ს მოთხოვნების მიხედვით შევადგინე საწრეო მუშაობის პროგრამა. განვსაზღვრე წრის ხანგრძლივობა და სამიზნე ჯგუფი. შევხვდი მშობლებს, გავაცანი მეცადინეობის ხანგრძლივობა,რომელიც ითვალისწინებდა 20 მეცადინეობას.

ჩემი მიზანი იყო მოსწავლეებს დავხმარებოდი წაკითხული ტექსტის უკეთ გაგება- გააზრებაში. ტექსტიდან მთავარი იდეის გამოყოფაში,ტექსტის ნაწილებს შორის მიმართების დადგენაში და კითხვების სწორი ფორმით დასმაში. საწრეო მუშაობისას მიზანმიმართულად მქონდა განაწილებული აქტივობები ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისათვის. ასევე გავითვალისწინე მოსწავლეთა ინტერესთა სფერო და შესაძლებლობები.

პ რ ე ზ ე ნ ტ ა ც ი ა

წრის პირველი შეხვედრა შედგა 17 იანვარს. ვისაუბრეთ წრის აქტუალობაზე, მიზნებსა და ამოცანებზე. მოსწავლეებს განვუმარტე, რომ მეცადინეობები არ იქნებოდა სტანდარტული გაკვეთილების მსგავსი. მათ შევთავაზებდი საინტერესო ტექსტებს. რაც გამოიწვევდა მათ დაინტერესებას ქართული ენისა და ლიტერატურის წრისადმი.

პირველი მეცადინეობა წარიმართა წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით. მოსწავლეებს ვესაუბრე თემებზე და დაგეგმილ აქტივობებზე.

თემა : ნ. შატაიძის „ძველი ადათი“ .

მოსწავლეებში კეთილგანწყობილი გარემოს შესაქმნელად გამოვიყენე მეთოდი „ცხელი სკამი“.მოსწავლეებმა ტექსტის გაცნობის შემდეგ დასვეს კითხვები და იმუშავეს სხვადასვა აქტივობებით.

თემა: რ. ინანიშვილის „ზამთრის ზღაპარი“.ტექსტის გასააზრებლად გამოვიყენე აბზაცებად კითხვა, სქემა- „მოვლენათა ჯაჭვი“.დავასათაურეთ თითოეული მონაკვეთი.

თემა: ვ. კოტეტიშვილის „კავთისხეველი მეურმეები“.მოსწავლეებმა ტექსტიდან ამოიწერეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია,შეავსეს სქემა“თავიდან-მერე-ბოლო“ და ერთმანეთს გაუზიარეს.







თემა: ა. წერეთელის „გამოცდის შემდეგ“. მოსწავლეებმა გაიხსენეს ა. წერეთელის მოთხრობა „ჩემი თავგადასავალი“ და გაითამაშეს როლებში.

თემა: შელ სილვერსტაინი „ვაშლის ხე და ბიჭი“. მოსწავლეებმა ტექსტის წაკითხვის შემდეგ შექმნეს ნახატები, სიუჟეტების მიხედვით.



თემა: ნ.შატაიძის „მართლმსაჯულების ზარი“. თემა: ი. ჭავჭავაძის „მოძღვარი“.ზარი“.ტექსსტის წაკითხვის შემდეგ გავმართეთ დისკუსია .



3 მნიშვნელოვანი ფაქტი;	2 საინტერესო ფაქტი;	1 მნიშვნელოვანი დასკვნა;

მოსწავლეებს შემდეგ მეცადინეობაზე შევთავაზე საინფორმაციო ტექსტები და მათთან დაკავშირებული აქტივობები.

თემა: ვარძია(საინფორმაციო ტექსტი) „ვსწავლობთ თამაშით“ შექმნეს ნახატი.

“მეფე გიორგი დიდებულებთან ერთად სანადიროდ ამოსულა, მეფეს თავისი ასული — პატარა თამარიც თან წაუყვანია. ნადირობა დაიწყო. ნადირობით გატაცებულ მეფესა და მის მხლებლებს ბავშვი აღარ მოჰგონებიათ. თამაშით გართული თამარი გამოქვაბულებში დაიკარგა. შეწყდა ნადირობა. აღელვებული და შეშფოთებული მონადირენი აქეთ-იქით აწყდებოდნენ, თამარს ეძებდნენ. — სად ხარ თამარ! დაიძახა ერთ-ერთმა მხლებელმა. გამოქვაბულში გზა აბნეულმა თამარმა სიხარულით შესძახა “აქ ვარ ძია!”, და დაერქვა ამ ადგილს "ვარძია”.

“მდინარე მტკვრის ხეობის ერთ მაღალ კლდესთან ვარძიის გამოკვეთა დაიწყეს. კლდე იფშვნებოდა და გამოქვაბულთა კვეთა გაძნელდა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ, საღამო ჟამს, მშენებლებმა იარაღი იქვე კლდესთან დააწყვეს და დაღლილები სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. მეორე დილით სამუშაოდ მოვიდნენ, მაგრამ იარაღი ადგილზე აღარ დახვდათ. დიდი ძებნის შემდეგ იარაღი ახლანდელ ვარძიის კლდესთან იპოვეს. გაკვირვებულნი უკან დაბრუნდნენ და განაგრძეს გამოქვაბულთა კვეთა. საღამოს იარაღი კვლავ იქვე მიატოვეს. მესამე დილით იგივე ამბავი განმეორდა. იარაღი ისევ ნაცნობ კლდესთან გადატანილი აღმოჩნდა. ახლა კი მიუხვდნენ განგებას. ამიტომ ვარძია ამ კლდეში გამოკვეთეს, ხოლო ძველ მიტოვებულ ადგილს ამ ხნიდან ნავარძიევი ეწოდება.”

“მტერს რომ არ შეეტყო თამარ მეფის ადგილსამყოფელი, ვარძიაში თამარის ბრძანებით სამასსამოცდახუთი ოთახი იყო გამოკვეთილი, იმდენი ოთახი, რამდენი დღეცაა წელიწადში; ყოველდღე თითო ოთახი იკვეთებოდა და მშენებლობა ერთ წელიწადში დამთავრდა.”

ვარძიის შესახებ ამბებში საგულისხმოა სამი მომენტი: მონასტრის დაარსების დაკავშირება მეფე გიორგი III და, განსაკუთრებით, თამარ მეფის სახელთან; ვარძიის მშენებლობის ადგილის შეცვლა და აქ მონასტრის დაარსებამდე ძველი გამოქვაბულების არსებობა.

მოსწავლეები ყოველთვის ხალისით რჩებოდნენ წრის მეცადინეობაზე, გაუღვივდათ ინტერესი და პატივისცემა საგნისადმი. გაიზარდა მოსწავლეთა ცოდნის დონე. საწერეო მუშაობამ ხელი შეუწყო საგნის კომპეტენციას.